ოქმი:ო37. 3725358001

თარიღი:24/12/2025

ოქმი N 6

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

2025 წელი, 22 დეკემბერი

ქ. ოზურგეთი

16:00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია **-** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: დ.კიკვაძე, ტ. აროშიძე, პ. კიღურაძე, გ. ჩავლეშვილი, ბ. თოიძე, ტ. ბარამიძე, მ. ჩხიკვიშვილი, ქ. ხომერიკი, დ. ჭაკნელიძე, დ. ხურციძე.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მიაწოდა ინფორმაცია კვორუმზე, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 11 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“-.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლი: გელა ჩავლეშვილი

2. “ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 მაისის N 34 დდგენილებაში ცვლილებესის შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წვრთა რაოდენობისა და ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლი: მარიკა ჩხიკვიშვილი

5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლი: მარიკა ჩხიკვიშვილი

6. “ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

გადაწყვიტეს:

ბიუროს სხდომის დღის წესრიგით წარმოდგენილი N1 საკითხი განხილვისა და დამტკიცების მიზნით შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

N2 საკითხი დასკვნის წარმოდგენის მიზნით დაეწეროს საკრებულოს დარგობრივ კომისიებს (გ. ჩავლეშვილი, ტ.ბარამიძე).

N3 საკითხი დასკვნის წარმოდგენის მიზნით დაეწეროს საკრებულოს დარგობრივ კომისიას (მ. ჩხიკვიშვილი).

N4 საკითხი ბიუროს მიერ დამტკიცებულ იქნა.

N5 საკითხი მიღებული იქნას ცნობად.

N6 საკითხი დასკვნის წარმოდგენის მიზნით დაეწეროს დარგობრივ კომისიებსა და ფრაქციებს.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი